ყრილობის სტუმარი

გუშინ მუშაობა დაამთავრა საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXVIII ყრილობამ. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. მეტრეველი, სარევიზიო კომისიის მოხსენებით — ამ კომისიის თავმჯდომარე ე. ბაკურაძე. შემდეგ გაიმართა კამათი.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ მოძმე რესპუბლიკათა კომკავშირის წარმომადგენლებს — სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ს. მელიქიანცს, აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილეს შ. სულეიმანოვს, კომკავშირის სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანს ი. ტომაშევს, რომლებმაც გულითადი მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. გოგიჩაიშვილმა წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის კომკავშირის XXVIII ყრილობისადმი.

ყრილობის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. მჟავანაძის სიტყვა.

ყრილობაზე სტუმრად იყო მფრინავი-კოსმონავტი, სსრ კავშირის გმირი ვ. გორბატკო.

ს უ რ ა თ ზ ე (მარცხნიდან): ყრილობის დელეგატი — სოციალისტური შრომის გმირი, მეჩაიე ქ. გოგიტიძე, საქართველოს კომკავშირელთა ძვირფასი სტუმარი ვ. გორბატკო, ყრილობის დელეგატი სპორტსმენები ა. მეტრეველი და რ. ხიხარულიძე. ფოტო ა. კოტორაშვილისა.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 41 (4035) 28 თებერვალი, შაბათი. 1970 წ. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სენსაციები ხალიჩაზე

ტალინი, 27 თებერვალი. გუშინ აქ დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი ნახევარი კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობენ 5 წონითი კატეგორიის (უმჩატესი, ქვემსუბუქი, პირველი ქვესაშუალო, პირველი საშუალო, ქვემძიმე) ათლეტები. ტალინის ტურნირი ხვალ დამთავრდება, ხუთი დღის შემდეგ კი ომსკში შეიკრიბებიან ჩემპიონატის მეორე ნახევრის მონაწილენი. აქ გაიმართება ჭიდილი დანარჩენ ხუთ წონით კატეგორიაში (მჩატე, მსუბუქი, მეორე ქვესაშუალო, მეორე საშუალო, მძიმე).

შეჯიბრება ახალი სისტემით ტარდება. ყოველი წონითი კატეგორიის მოჭიდავეები დაყოფილი არიან „ა" და „ბ" ჯგუფებად. „ა" ჯგუფში ასპარეზობენ გამარჯვებულნი, „ბ" ჯგუფში — დამარცხებულნი. იმ შემთხვევაში, თუ „ბ" ჯგუფის ბინადარი მეორე ბრძოლასაც წააგებს, ეთიშება ჩემპიონატს, ვინაიდან 6 საჯარიმო ქულა ზღვრულია. თუ დამარცხებულთა ჯგუფში მოჭიდავემ მოიგო ყველა შემდგომი ბრძოლა, შესაძლოა ერთხელ კიდევ შეხვდეს თავის მძლეველს. „ა" ჯგუფიდან ფინალში გადის ერთი მონაწილე, „ბ" ჯგუფიდან — 2.

პირველი ტური რამდენიმე სენსაციური შედეგით აღინიშნა. აი, სამი მათგანი: ქვემსუბუქ წონაში მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. რურუამ („კოლმეურნე"), ქულებით წააგო თავის თანამემამულესთან, დინამოელ ბ. ლეკვეიშვილთან. იმავე წონაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა თ. სირბილაძემ („განთიადი") დაამარცხა სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი მსუბუქ წონაში, მოსკოველი ი. ზაიცევი. პირველი ბრძოლა წააგო სსრ კავშირის კიდევ ერთმა ჩემპიონმა — ერევნელმა ჟ. ზახარიანმა (ქვემსუბუქი წონა). იგი დამარცხდა ბუხარის სპარტაკელ ა. შადიევთან ჭიდილში.

მორბენლები დროს უსწრებენ

თებერვლის ამ ბოლო რიცხვებში (25-26) მოსკოვის ლუჟნიკის სპორტის სასახლეში მძლეოსნობა ისევე ზეიმობს, როგორც შუა ზაფხულის დღეებში. აქ გამართულმა ასპარეზობამ თავი მოუყარა 450 საუკეთესო საბჭოთა მძლეოსანს, რომლებისთვისაც ამ დღეებში წყდება საკითხი: ვინ შევა მათგან სსრ კავშირის ნაკრებში (50 წევრი), რომელმაც 14-15 მარტს ვენაში ევროპის პირველ „ოფიციალურ" ზამთრის ჩემპიონატში უნდა იასპარეზოს?

სარბიელზე გამოვიდა რამდენიმე ათეული უცხოელი სტუმარიც. სასახლეში ფრიალებდა ავსტრიის, ბელგიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის ალმები. ტრიბუნებზე იჯდა 6 ათასზე მეტი მაყურებელი. აქვე იყვნენ მოსწავლეები და ბავშვები, რომელთაც, კარგი ტრადიციისამებრ, მკაცრი კონტროლიორები სასახლეში უბილეთოდ უშვებენ.

საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პირველი ავიდა ოდესელი თარჯმორბენალი ლ. ხიტრინა. მან 60-მეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა ახალი საკავშირო მიღწევით — 8,3 წამი. ამასთან, წინასწარ და ნახევარფინალურ შეჯიბრებებში სწრაფმა სპორტსმენმა ეს შედეგი კიდევ ორჯერ აჩვენა.

ასპარეზობის პირველი დღის მთავარი მოვლენაც სარბენ ბილიკს ეკუთვნის, მაგრამ ამჯერად ზეიმის მიზეზი იყო სტუმარი გდრ-იდან რენატა მაისნერი. 200 მეტრზე ფინალურ გარბენში იგი თითქოს მიფრინავდა ფინიშისკენ და 24,3 წამი აჩვენა. ასე იშვა მოსკოვში ევროპის ახალი უმაღლესი მიღწევა. ამასთან, ძველი რეკორდი, რომელიც სულ რამდენიმე დღეს ითვლიდა, რენატამ ერთბაშად 0,2 წამით გააუმჯობესა. მაისნერი სულ 0,2 წამით ჩამორჩა ამერიკელი მაკგუაირის მსოფლიო მიღწევას. კმაყოფილი იყო 19 წლის მოსკოველი სპორტსმენი, სსრ კავშირის ჩემპიონი ამ დისტანციაზე ნ. ბესფამილნაია: მანაც ერთი მეათედი წამი ჩამოაკლო სსრ კავშირის უმაღლეს მიღწევას, რომელიც ჯერ კიდევ ამ 7 წლის წინ დაამყარა სახელგანთქმულმა ლენინგრადელმა გ. პოპოვამ. ბესფამილნაიას შედეგია 24,7. სულ ცოტა ხნის წინ ასეთი მაჩვენებელი ზაფხულშიც საპატიო იყო ნებისმიერი სპორტსმენისთვის.

სიგრძეზე მხტომელები სინთეტური მასალით „რეკორტანით" დაფარულ ბილიკზე ასპარეზობდნენ. სწორედ ასეთი საფარი ექნება ევროპის ჩემპიონატის სარბიელს ვენის „შტადტჰალეში". გულშემატკივართა გასახარად, აქ საუკეთესო იყო 19 წლის მოსკოველი ტ. ბიჩკოვა. იგი ორჯერ გადახტა 624 სმ-ზე. ეს ამ ზამთარს სსრ კავშირში საუკეთესო შედეგია დარბაზებისთვის.

გაგაცნობთ პირველი დღის ფინალური შეჯიბრებების კიდევ რამდენიმე შედეგს. ლენინგრადელმა ბ. სავჩუკმა ყველას აჯობა 400 მეტრზე — 48,3 წამი. სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. ზიმინამ (მოსკოვის ოლქი) 800-მეტრიან დისტანციაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა — 2.12,3. 1500 მეტრზე მორბენალ ვაჟთა შეჯიბრების ფინიშზე ხარკოველმა ვ. პანტელეიმ ჩამოიტოვა ბელგიელი სტუმარი ე. სალვე — 3.49,4.

მწვავე ბრძოლა გააჩაღეს 800 მეტრზე მოასპარეზე ვაჟებმა. ევროპის რეკორდსმენმა ფ.-ი. კემპერმა (გფრ) ბოლო წრეზე მხოლოდ განთქმული საფინიშო ბიძგის მეოხებით მოუგო ურალელ ი. ივანოვს. კემპერის შედეგია 1.52,2. ივანოვი მეტოქეს მხოლოდ 0,3 წამით ჩამორჩა.

სტუმრებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს 400 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაში. აქ თავი გამოიჩინა გდრ-ის წარმომადგენელმა გ. დიტჩმა — 56,0. გდრ-ის სპორტსმენები საერთოდ კარგად გამოვიდნენ მოსკოვში, პირველ ყოვლისა, მაისნერის წყალობით, რომელმაც 200 მეტრზე გამარჯვების გარდა, 60 მეტრზეც წარმატება მოიპოვა — 7,2.

ხტომასა და ტყორცნაში უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო. მაყურებელმა ნახა სიმაღლეზე მხტომელთა უაღრესად საინტერესო ბრძოლა, რომელიც მოსკოველი ს. მოსპანოვის გამარჯვებით დამთავრდა — 217 სმ (ეს შედეგი ჯერჯერობით ევროპაში საუკეთესოა ამ სეზონში). ასეთივე სიმაღლე აიღო ევროპის ჩემპიონმა ვ. გავრილოვმაც, რომელიც თანაქალაქელს მხოლოდ ცდებით ჩამორჩა. ბრძოლის ასეთ გამძაფრებას უნდა ვუმადლოდეთ პოლონელ ვ. გოლემბიოვსკისაც, რომელმაც „ფოსბიურის სტილით" 211 სმ გადალახა.

„რეკორტანის" ბილიკზე ევროპის ჩემპიონი ი. ტერ-ოვანესიანი 779 სმ სიგრძეზე გადახტა. სამხტომში პირველი იყო უნგრელი სტუმარი ზ. ჩიფრა — 16,45 მ. ვ. სანეევი მოსკოვში არ გამოდიოდა: ფეხი აქვს ნატკენი და ექიმებმა ჯერჯერობით აუკრძალეს შეჯიბრებებში მონაწილეობა.

მაყურებლები მონაწილეთა შორის ამაოდ ეძებდნენ ვ. ბრუმელს. მსოფლიო რეკორდსმენი დროებით კვლავ მედიკების პაციენტია — მარცხენა მუხლის ოპერაცია გაუკეთეს და შეჯიბრებას ტელევიზორის ეკრანზე ადევნებდა თვალს.

მსოფლიო რეკორდსმენმა ნ. ჩიჟოვამ ბირთვი კვლავ გადააცილა 18-მეტრიან ზღვარს — 18,03. მან ერთბაშად სამი ჯილდო მიიღო: ერთი — ამ გამარჯვებისთვის, მეორე — მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალური ოქროს მედალი — მსოფლიო რეკორდისთვის, მესამე — ჟურნალ „ლიოგკაია ატლეტიკას" თასი, როგორც 1969 წლის საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენმა ქალმა.

უცხოელი სტუმრები საკდესის კორესპონდენტებთან საუბარში საგანგებოდ აღნიშნავდნენ შეჯიბრების ჩინებულ ორგანიზაციას, მსაჯების მონდომებასა და კორექტულობას, მოსკოველი მაყურებლის გულისხმიერებას.

მაგრამ საბჭოთა მძლეოსნობის მოყვარულებს არ შეიძლება გული არ დასწყვიტოს იმ ამბავმა, რომ მოსკოვის ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებული 25 სახეობიდან ბევრში შედეგების დონე არც ისე მაღალი იყო. ორი საკავშირო მიღწევა დიდი ნუგეში არაა შეჯიბრებაში, სადაც საბჭოთა მძლეოსნობის მთელი ელიტა გამოდიოდა. ჭოკით ხტომაში, მაგალითად, შედეგები, უბრალოდ, სუსტი იყო. არადა, ვენაში საბჭოთა მძლეოსნებს ბევრად უფრო სერიოზული გამოცდა აქვთ ჩასაბარებელი. მათგან ახლა გაცილებით უკეთეს შედეგებს ველით, ვიდრე შარშან მოიპოვეს ბელგრადში.

ბ. ბუხოვცევი,
ვ. დვორცოვი,
ვ. კუკუშკინი.
(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

დღეს ნომერში

დაწინაურდნენ ბ. ბურბენიძე და რ. ჯინჯიხაშვილი

•

საბჭოთა ნაკრების ფრე მექსიკის ფეხბურთელებთან

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „დინამოსა" და ტარტუს „კალევის" კალათბურთელთა გუშინწინდელი მატჩის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ამ მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).



საკდესი მოგვითხრობს

20 45

◆ **ლევერკუზენი, 27** თებერვალი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ ქალაქში გ. ნიკელმა 50 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს ახალი მიღწევა დაამყარა — 6,2 წამი. მან 0,2 წამით „გაასწრო" ძველ მიღწევას, რომელიც ერთბაშად სამ მძლეოსანს ეკუთვნოდა: ე. ოტოზს (იტალია), მ. კოტიკს (ჩეხოსლოვაკია) და ლ. კოულმენს (აშშ).

◆ **ზული,** 27 თებერვალი. მაღალ ტატრებში (ჩეხოსლოვაკია) გამართული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „მფრინავმა მოთხილამურეებმა" აქ პირველი შეჯიბრება ჩაატარეს. ყველას აჯობა 22 წლის ჰ. შმიდტმა, რომელმაც 211,5 ქულა დააგროვა (ნახტომები — 81 და 84 მ).

◆ **პარიზი, 27** თებერვალი. ხელბურთელ ვაჟთა აქ მიმდინარე VII მსოფლიო ჩემპიონატის იმ ჯგუფში, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენები გამოდიან, შედგა კიდევ ერთი მატჩი: შვეციის ნაკრებმა ანგარიშით 8:6 დაამარცხა ნორვეგიის ეროვნული გუნდი.

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კროსი მდგომარეობის სარკე

ორასამდე სპორტსმენმა მოიყარა თავი იპოდრომზე, სადაც კვირას თბილისის საგაზაფხულო პირველობა გაიმართა მძლეოსნურ კროსში. ეს ციფრი თავისთავად პატარა როდია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ასპარეზობა ოთხ ჯგუფად ეწყობოდა და ჯგუფებში გამარჯვებისთვის უმაღლესი სასწავლებლების, საწარმო-დაწესებულებების, ტექნიკუმებისა და მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლების კოლექტივები იბრძოდნენ, სურათი არც ისე სახარბიელო გამოდის. თბილისის ყველა სათანადო ორგანიზაციას ცალკეულ დისტანციებზე 4-4 მონაწილე მაინც უნდა გამოეყვანა, სამ-სამი საუკეთესო ჩათვლა რომ მიეღო.

5000 მეტრზე 43 მორბენალი ასპარეზობდა. უმეტესობა, რა თქმა უნდა, სუსტად იყო მომზადებული. გამარჯვებისთვის ნამდვილ ბრძოლას რომ არც აპირებდნენ, ეს იქედანაც ჩანდა, რომ სტარტზე შარვლებითა და თბილი საწვრთნელი კოსტუმებით გამოვიდნენ. დიდი ჯგუფი შუა დისტანციის მერე ჩამორჩა.

სამაგიეროდ, ბევრმა ვაჟკაცურად იბრძოლა. ფინიშამდე კილომეტრი რომ დარჩა, რბოლას სამი ლიდერი ჰყავდა, მერე კი ა. მიქოიანი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ზ. ქავზინაძე (უნივერსიტეტი) დაწინაურდნენ. ბოლო სწორზე ქავზინაძე წინ გაიჭრა და გაიმარჯვა კიდეც — 15.48,8. მიქოიანი მას 6 წამით ჩამორჩა. ორივემ II თანრიგზე გაცილებით უკეთესი შედეგი აჩვენა (კროსში I თანრიგის ნორმატივი არ არსებობს). მესამე იყო ი. პაპიაშვილი (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი).

საინტერესო იყო 8000 მეტრზე რბენა. 20 მონაწილე უკვე ხუთასიოდე მეტრის შემდეგ სამ ჯგუფად დაიყო. დაწინაურდნენ გამოცდილი სპორტსმენები ი. ცანავა, ჰ. კოჩეგუროვი (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი), ი. მიხაილჩენკო (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) და პირად ტურნირში მოასპარეზენი ა. კურზანოვი და ი. სოვეტკინი.

მეორე ჯგუფი უფრო სუსტად მომზადებულმა სპორტსმენებმა შექმნეს. სხვებმა, რომელთაც თავი გასწირეს და დისტანციას კოლექტივის ინტერესებისთვის შეეჭიდნენ, ტემპს ვეღარ გაუძლეს და ჩამორჩნენ, თუმცა რბოლა არც მათ შეუწყვეტიათ.

ლიდერებმა იცოდნენ, რომ შუა დისტანციის მერე მათ ვეღარავინ დაეწეოდა, მაგრამ ტემპს არ ანელებდნენ. მეოთხე წრეზე (სულ იპოდრომის 5 წრე უნდა შემოევლოთ) ისინი ჩამორჩენილებს უკვე ერთ წრეს უვებდნენ. გამარჯვებისთვის გადამწყვეტი ბრძოლა მოწინავე კვინტეტის წევრთა შორის გაიმართა. ფინიშამდე 500 მეტრით ადრე დაწინაურებულებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და სისწრაფეს კიდევ უფრო უმატეს. მიხაილჩენკო და ცანავა ჩამორჩნენ, კურზანოვმა კი, რომელიც აქამდე რბოლას სათავეში ედგა, ჯერ სოვეტკინი გაუშვა წინ, შემდეგ კი კოჩეგუროვი. ამ უკანასკნელმა მერე სოვეტკინსაც გაასწრო და რბოლაც პირველმა დაამთავრა — 25.44,0. მეორე იყო სოვეტკინი — 25.44,4, მესამე — კურზანოვი — 25.48,8. II თანრიგის შედეგს წუთნახევარზე მეტით გადააჭარბეს მიხაილჩენკომ და ცანავამაც.

გამარჯვებისთვის თავი არც 3000 მეტრზე მორბენალ იუნიორებს დაუზოგავთ. აქაც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა იმარჯვეს, მაგრამ ვერც ერთი II თანრიგის შედეგს ვერ შესწვდა. ყველას აჯობეს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელებმა გ. ხუფაცარიამ (9.36,5) და ს. მეშჩანინოვმა (9.46,3). მესამე იყო უნივერსიტეტის სტუდენტი ვ. სანიკიძე — 9.51,0.

ქალიშვილები 1000 მეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. 44 სპორტსმენიდან მხოლოდ რამდენიმეს გამოყოფა შეიძლება. პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ მ. მეტრეველი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) და ა. კაზაკოვა (ფიზკულტურის ინსტიტუტი). კაზაკოვამ წლეულს ბაკურიანში 5 და 10 კმ-ზე თხილამურებით რბენაში რესპუბლიკის ზამთრის III სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა. აქ იგი შუა დისტანციამდე მეტრეველის გვერდით მირბოდა. შემდეგ მეტრეველი წინ გაიჭრა, მაგრამ, როგორც ჩანს, მომავალმა აგრონომმა ტემპს ადრე უმატა, ძალა ბოლომდე არ ეყო და უპირატესობა კაზაკოვას ზედ ფინიშთან დაუთმო. კაზაკოვამ გაიმარჯვა — 3.11,3. მეტრეველი მას 0,1 წამით ჩამორჩა. ორივემ გადააჭარბა II თანრიგის ნორმატივს. III ადგილზეა ტ. ივანოვა (პროფსაბჭოს სპორტსკოლა) — 3.31,8.

1500 მეტრზე რბენაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ნ. გოგოლაძე (საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმი) — 6.17,0, მ. ნიკოგოსოვა (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 6.30,8, დ. აფციაური (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 6.39,5. შედეგები საკმაოდ დაბალია. სპეციალისტები მეტს ელოდნენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ძლიერი მძლეოსნები, მათ შორის, რესპუბლიკური ნაკრების წევრებიც გარბენს გულგრილად მოეკიდნენ — დისტანციის ორ მესამედზე „ისეირნეს", შემდეგ, როგორც იქნა, მოუმატეს ტემპს, მაგრამ გვიანღა იყო.

2000 მეტრზე ქალთა შეჯიბრების სტარტზე გამოვიდა ... 4 სპორტსმენი და მათგანაც მონდომებით მხოლოდ ორმა ირბინა. გამარჯვება მოიპოვა რ. შჩიკოვსკაიამ (სპორტკლუბი „ელმავალი") — 7.50,6. ველოსიპედისტი ლ. ხრიავინა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) მას თითქმის ნახევარი წუთით ჩამორჩა.

რა მდგომარეობა იყო გუნდურ ჩათვლაში?

პირველ ჯგუფში თბილისის მხოლოდ 5 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები გამოვიდნენ. პირველობა ფიზკულტურის ინსტიტუტს დარჩა. II ადგილი მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო, III — პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივებმა. უნივერსიტეტის გუნდს პედინსტიტუტის სპორტსმენებმაც აჯობეს.

მეორე ჯგუფში გამარჯვებისთვის მარტო მანქანათმშენებლობის, საფინანსო-ეკონომიური და ტოპოგრაფიული ტექნიკუმების გუნდები იბრძოდნენ. ადგილებიც ამავე თანმიმდევრობით განაწილდა.

მესამე ჯგუფში ქალაქის საწარმო-დაწესებულებების, სულ ცოტა, 23 გუნდი მაინც უნდა გამოსულიყო, ისინი, ვისაც ქალაქის ფიზკულტურის კომიტეტი შეჯიბრებაში იწვევდა. შეჯიბრებაში კი მხოლოდ სპორტკლუბები „განთიადი", „გამარჯვება", „ელმავალი" და ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის გუნდი ჩაებნენ. I ადგილი „ელმავალმა" მოიგო. II ადგილზეა „განთიადი", III — „გამარჯვება".

მეოთხე ჯგუფში საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელებმა აჯობეს განათლების განყოფილების სპორტსმენებს.

თბილისში 700-ზე მეტი ფიზკულტურული კოლექტივია. როგორც ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტში გვითხრეს, დედაქალაქის რაიონების ფიზკულტურის კომიტეტები მათთვის მძლეოსნობასა და კროსებში ტურნირების ჩატარებით თავს არ იწუხებენ და არც იმით დაინტერესდნენ, რომ რაიონების მიხედვით დაერაზმათ ისინი და საქალაქო შეჯიბრებაში მაინც გამოეყვანათ.

ამ შეჯიბრების შედეგები გვაფრთხილებს, რომ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მძლეოსნობაში ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათებზე: 1000 მეტრზე მორბენალი ქალები დისტანციაზე. წინ არიან კაზაკოვა (მარჯვნივ) და მეტრეველი; 8000 მეტრზე რბენაში დაწინაურებული ვაჟთა ჯგუფი.

ფოტო ავტორისა.

სპარტაკიადაში მონაწილეობა — სპორტსმენის მიზანი!

ფრენბურთი

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: ქალები — IX, ვაჟები — IX, საერთო — X.

ვაჟები

ნ. თათარაშვილი (1946 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. ასლანიდი (1947 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), თ. გოლეთიანი (1947 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. პეტროვი (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. რავა (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ო. მოტინგა (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ა. ბუთურიშვილი (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. ტკაჩენკო (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), თ. გოგიბერიძე (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ფ. კუზნეცოვი (1946 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. აკუჯბა (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. დვოროვოი (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), გ. კალანდაძე (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ო. ჩირნოგი (1953 წ. განათლ. განყ., თბილისი), გ. აბესალაშვილი (1952 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი).

ქალები

ც. აბუაშვილი (1940 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ბ. ზურაბიშვილი (1946 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ზ. კერესელიძე (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. ხამურატიდი (1944 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ნ. ბოროდინა (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ე. ავერიანოვა (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), დ. თოფურიძე (1952 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ნ. რუსაძე (1946 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ი. თევოსიანი (1946 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ე. გეზიმა (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ნ. პილიევა (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ტ. ნიქაბაძე (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ნ. კურიტიძე (1954 წ. განათლ. განყ., თბილისი), ა. აირაპეტიანი (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებლები არიან ი. გამრეკელი, კ. ლომინაძე, გუნდის უფროსები: თ. ყანჩაველი, ე. სანთელაძე, უფროსი მწვრთნელები: შ. მარგიშვილი (ვაჟების), ა. თევოსიანი (ქალების), მწვრთნელები: ი. ბოიკო, ი. გურგენიძე, კომორგი ვ. ლომაძე.

კრივი

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: გუნდური XI ადგილი.

პრიზიორები: მ. სვანიძე (მეორე ქვესაშუალო წონა) — VI ადგილი, მ. მამამთავრიშვილი (პირველი საშუალო) — VI, რ. აკოფოვი (მეორე საშუალო) — V, ს. გოცული (ქვემძიმე) — V.

ვ. სულაკაძე (1946 წ. „განთიადი", ქუთაისი), თ. ლორთქიფანიძე (1951 წ. „ბურევესტნიკი", ქუთაისი), ბ. ქურციკიძე (1950 წ. „განთიადი", ქუთაისი), ო. ტიტვინიძე (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), მ. არუთინოვი (1946 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), შ. იუსუფოვი (1948 წ. „შრომითი რეზერვები", თბილისი), გ. ვარდანიანი (1938 წ. „სპარტაკი", თბილისი), გ. ცხაკაია (1949 წ. „შრომითი რეზერვები", ქუთაისი), ვ. საპელკო (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ს. თუმასიანი (1950 წ. „დინამო", თბილისი), გ. შახსუვარიანი (1947 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ზ. გუნია (1947 წ. „დინამო", თბილისი), მ. სვანიძე (1943 წ. „ბურევესტნიკი", ქუთაისი), ე. შალამბერიძე (1947 წ. „შრომითი რეზერვები", თბილისი), ი. მისტოკოპულო (1943 წ. „განთიადი", სოხუმი), ნ. გარაბაჯი (1943 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), რ. იამუკიანი (1947 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), შ. ხოსიაური (1947 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), დ. დანილენკო (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), გ. რევაზოვი (1951 წ. „დინამო", თბილისი), ა. ნიკოლაძე (1947 წ. „განთიადი", ქუთაისი), ვ. მილიუშკოვი (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), მ. მიქოიანი (1950 წ. „დინამო", თბილისი), ჯ. ჟორჟოლიანი (1952 წ. „შრომითი რეზერვები", ქუთაისი), გ. დევდარიანი (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), თ. შალიკიანი (1946 წ. „განთიადი", ქუთაისი), ნ. ცაბაძე (1950 წ. „განთიადი", თბილისი), დ. კვაჭაძე (1951 წ. „დინამო", თბილისი), ზ. ოშაყმაშვილი (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ი. ბაბახანიდი (1949 წ. „დინამო", თბილისი), ზ. მაღლაფერიძე (1951 წ. „განთიადი", თბილისი), ლ. ტარანოვი (1950 წ. „შრომითი რეზერვები", თბილისი), გ. ელოვო (1952 წ. „დინამო", თბილისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებლები: კ. მიქიაშვილი, ბ. კვინიხიძე, გუნდის უფროსი ა. კორინთელი, უფროსი მწვრთნელი შ. გორგასლიძე, მწვრთნელები: ა. ნავასარდოვი, ი. ხატიაშვილი, ბ. ძნელაძე, კომორგი უ. ჭიჭინაძე.

ცხენოსნობა

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: VIII გუნდური ადგილი.

ა. კრაინენკო (1949 წ. „კოლმეურნე", ზუგდიდი), კ. გაშიბაიაზოვი (1937 წ. „სპარტაკი", თბილისი), გ. მარეიკო (1940 წ. „კოლმეურნე", ცხაკაია), ნ. ლაბაშია (1953 წ. „კოლმეურნე", ვალი), დ. მალანია (1946 წ. „კოლმეურნე", ცხაკაია), მ. ლაბაშია (1950 წ. „კოლმეურნე", ვალი), ა. შუპლეცოვი (1950 წ. „კოლმეურნე", ზუგდიდი), მ. კიკიანი (1939 წ. „სპარტაკი", თბილისი), ვ. ბერეჟნოი (1952 წ. „სპარტაკი", თბილისი), ა. მიქაელიანი (1945 წ. „კოლმეურნე", სოხუმი), ზ. წურწუმია (1949 წ. „კოლმეურნე", ზუგდიდი), ა. მანჯავიძე (1934 წ. „კოლმეურნე", თბილისი), ქ. ჯორჯაძე (1948 წ. „სპარტაკი", თბილისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებლები: მ. ღვინჯილია, ვ. ჟღენტი, გუნდის უფროსი რ. კორძაია, მწვრთნელები: რ. კორძაია და კ. ხარებავა, კომორგი ც. მოსიძე.

ძალოსნობა

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: გუნდური VII ადგილი.

პრიზიორები: დ. შანიძე (ქვემსუბუქი) — IV, გ. კოჩიევი (საშუალო) — II, ა. ჭეჭელავა (მძიმე) — III.

მ. პართენაძე (1940 წ. „განთიადი", თბილისი), ა. ჭოლოკიანი (1935 წ. „კოლმეურნე", სოხუმი), ა. სურმანიძე (1939 წ. „კოლმეურნე", თბილისი), დ. შანიძე (1938 წ. „განთიადი", თბილისი), ჯ. გოქსაძე (1943 წ. „კოლმეურნე", თბილისი), ო. დემუროვი (1941 წ. „განთიადი", თბილისი), ა. ჭეჭელავა (1941 წ. „კოლმეურნე", თბილისი), ვ. კაზანჯიანი (1945 წ. „განთიადი", თბილისი), დ. ხიზამბარელი (1945 წ. „ლოკომოტივი", თბილისი), ი. მეხაშიშვილი (1946 წ. „განთიადი", თბილისი), რ. ტარკილი (1952 წ. „განთიადი", სოხუმი), ა. კიადიკოვი (1951 წ. „განთიადი", თბილისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებლები: ი. ბოჭორიძე, დ. კაპკოვი, გუნდის უფროსი გ. გოდერძიშვილი, უფროსი მწვრთნელი მ. ჟღენტი, მწვრთნელები: შ. წერეთელი, ვ. ბასილაძე, ვ. რადიმაშვილი, კომორგი ნ. რუხაძე.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 39, 40.

5 პრიზიორი

ამას წინათ ნალჩიკში დამთავრდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ახალგაზრდული პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობდნენ რსფსრ-ს (2), მოსკოვის, უკრაინის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ბელორუსიის, ყაზახეთისა და სომხეთის გუნდები.

საქართველოს ათლეტები კარგად გამოვიდნენ — გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ რსფსრ-ს კოლექტივს ჩამორჩნენ და II ადგილი დაიკავეს.

პირად შეჯიბრებაში იმარჯვეს: მეორე ქვესაშუალო წონაში — კ. სუთიაშვილმა, პირველ საშუალო წონაში — თ. გეგეშიძემ, ქვემძიმე წონაში — გ. ნიკურაძემ.

მსუბუქი წონის მოჭიდავემ ბ. მუჯრიშვილმა II ადგილი დაიკავა, მეორე ქვესაშუალო წონის ათლეტმა გ. სუხიშვილმა — III.

[illegible]

აბაშა

აქ ექვს დღეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობა რუსულ შაშში, რომელშიც 22 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები ჩაებნენ. ყველას აჯობა სამტრედიის ნაკრებმა (ვ. ნინუა, რ. ალანია, თ. გამხიტაშვილი). II ადგილი ხვდა გარდაბნის რაიონის გუნდს, III — აფხაზეთის კოლექტივს. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: ვაჟებში — ვ. ნინუამ (მან კოეფიციენტთა ცხრილით აჯობა მახარაძელ ს. მოძღვარიშვილს), ქალებში — თ. გამხიტაშვილმა.

რ. მანტურია.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი



30 წუთის უპირატესობა და ცუდი ენდშპილი

თბილისი. სპორტის სასახლე. 26 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ) 80:86 (43:39).

„დინამო": უგრეხელიძე (16), ნარიმანიძე (12), ბოლქვაძე (12), ქორქია (12), საკანდელიძე (10), ლეჟავა (6), მოსეშვილი (6), მალალაშვილი (4), სხიერელი (2).

„კალევი": ლიპსო (19), ტომსონი (18), კრიკუნი (16), სალუმეტსი (11), ტამისტე (9), ლეპმეტსი (7), ილვესი (2), ლენციუსი (2), ა. ლილი (2).

მსაჯები: ა. კოკარევი, მ. დავიდოვი (ორივე — მოსკოვი).

ჯერ ორიოდე სიტყვა „კალევზე". ესტონელმა კალათბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს მეორე წრის პირველი ნახევარი — კიევის ტურში ხუთიდან 4 ქულა აიღეს (დამარცხდნენ მხოლოდ მოსკოვის არმიელებთან), თანაც დამაჯერებლად მოუგეს მასპინძელთა ორივე გუნდს. ამ მონაპოვარში უდიდესი წვლილი შეიტანა ლიპსომ, რომელმაც წარმატებით გაიარა „აკლიმატიზაციის" პერიოდი (შარშან იგი ცსკა-ში თამაშობდა) და ახლა ესტონელთა კოლექტივში საკვანძო პოსტზე დგას. „კალევი" ერთ-ერთი საპრიზო ადგილის სერიოზული პრეტენდენტი რომ არის, ეს სატურნირო ცხრილიდანაც ნათლად ჩანს.

თბილისის „დინამოზე" გარკვევით მხოლოდ ის შეიძლება ვთქვათ, რომ წლეულს იგი სუსტად თამაშობს. გუნდს აქვს კრიზისის გამოკვეთილი ნიშნები, რაც, პირველ ყოვლისა, თაობათა ცვლის სავსებით ბუნებრივი პროცესითაა გამოწვეული. მაგრამ ეს ზოგადი შეფასება არაფრით არ შეესაბამება დინამოელთა გუშინწინდელ თამაშს. პირდაპირ უნდა ვთქვათ: თბილისელებმა ითამაშეს ბეჯითად, მონდომებით, ძალ-ღონის დაუზოგავად. ისინი დამარცხდნენ იმიტომ, რომ მატჩის ყველაზე პასუხსაგებ ფაზაში, მოჭადრაკეები ენდშპილს რომ ეტყვიან, ოდნავ ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს სიზუსტესა და ხასიათის სიმტკიცეში.

მოხდა ასეთი რამ: თბილისელთა გუნდი 30 წუთის განმავლობაში იყო დაწინაურებული, მაგრამ ამ უპირატესობამ თამაშის საერთო ხასიათზე მაინცდამაინც შესამჩნევი გავლენა ვერ მოახდინა. სწორედ ამიტომაც შეხვედრის ბედი მის წინა სამ მეოთხედში კი არა, ბოლო პერიოდში გადაწყდა. რა თქმა უნდა, დაწინაურებულისთვის ეს ძალიან საწყენია. თბილისის დინამოელებისთვის საბედისწერო გამოდგა 31-ე და 32-ე წუთები: ერთი-ორი შეცდომა, ერთი-ორი უზუსტობა და „კალევმა" თვალის დახამხამებაში დააგროვა 8 ქულა, რომელიც სავსებით საკმარისი გამოდგა გამარჯვებისთვის. ახლა უკვე ყველამ იცოდა: ესტონელები აღარ დათმობდნენ უპირატესობას. იცოდნენ ეს დინამოელებმაც და საინტერესო, დრამატული ბრძოლის ბოლო წუთები ბედს შეგუებულებმა დაამთავრეს.

მაინც რა ჰქონდათ სტუმრებს ისეთი, რამაც საბოლოოდ მათ გამარჯვება მოუტანა? ან იქნებ ყველაფერი იმ საბედისწერო 2 წუთის ბრალია და ამდენად, თბილისელთა წაგება უკუღმართ შემთხვევას უნდა მივაწეროთ?

ჩვენი ღრმა რწმენით, „დინამოს" შეეძლო ბრძოლის მოგება. უფრო მეტიც, მან თითქმის გაიკაფა გზა გამარჯვებისკენ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში თბილისელებს უმტყუნა ნერვებმა, გამოცდილებამ, თუ გნებავთ, ოსტატობამაც.

ესტონელთა სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლოებაა ფარქვეშ უშეღავათო, თავგანწირული ბრძოლისადმი ლტოლვა, რაც მათ თამაშის პროცესში ბევრ პლუსს აძლევს. მეორე კოზირია შორი და, განსაკუთრებით, საშუალო მანძილებიდან სროლის სიზუსტე. სანამ „დინამოს" თვალთახედვის არეში მოქცეული იყო ორივე ფარი და მათი მისადგომები, მასპინძელთა საქმე ცუდად როდი მიდიოდა. მოიხსნა კონტროლი ამ მნიშვნელოვან პუნქტებზე და უმალვე თავი იჩინა ტარტუელთა უპირატესობამ.

ო, ეს სროლები — ჩვენი ტრადიციული „უბედურება"! ესტონელ ხნაიკერთა საოცრად ნაყოფიერ ხუთეულს მეტნაკლებად დაუპირისპირდნენ უგრეხელიძე (იგი ახლა თავის მეორე ახალგაზრდობას განიცდის და ბოლო თამაშებს დიდი აღმაფრენით ატარებს), საკანდელიძე და ნარიმანიძე. დანარჩენი დინამოელები კალათის საიერიშოდ უშუალოდ ფარქვეშ გაავლას ამჯობინებდნენ.

კალათბურთში ასეა ხოლმე: როცა ვინმე განსაკუთრებით ზუსტად ბომბავს კალათს, მეტოქე საგანგებო ყურადღებას მას უთმობს და ყოველმხრივ უშლის ხელს. ტომსონმა ამ დღეს ექვსჯერ თუ შვიდჯერ თითქმის ერთი და იგივე ადგილიდან ისროლა მიზანში, მაგრამ არც ერთხელ არ შეხვედრია იგი რომელიმე დინამოელის შეალმართულ ხელს. ესტონელი დაუბრკოლებლად ირჩევდა პოზიციას, იღებდა გადაცემას და ხელშეუშლელად გზავნიდა ბურთს თბილისელთა კალათში.

დავრწმუნებულნი, დინამოელები ანალოგიურ სიტუაციაში რომ ყოფილიყვნენ, ესე იგი, მათაც სროლის ასეთი იდეალური პირობები რომ ჰქონოდათ, შეხვედრის შედეგი უთუოდ სხვა იქნებოდა. მაგრამ „კალევის" ძალაც სწორედ ის არის, რომ მეტოქეს რაიმე კოზირი არ მისცეს.

ნ. ბუზუშვილი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	16	14	2	1334—1133	14
„ჟალგირისი" (კაუნასი)	16	13	3	1289—1198	13
„სტროიტელი" (კიევი)	16	12	4	1314—1181	12
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	16	11	5	1250—1136	11
„კალევი" (ტარტუ)	16	11	5	1315—1249	11
„დინამო" (მოსკოვი)	16	8	8	1331—1291	8
„დინამო" (თბილისი)	16	8	8	1198—1253	8
ასკ (კიევი)	16	5	11	1156—1162	5
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	16	5	11	1186—1332	5
ასკ (რიგა)	16	3	13	1144—1290	3
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	16	3	13	1195—1349	3
„ლოკომოტივი" (ალმა-ათა)	16	3	13	1172—1316	3

ცსკა-ს მეტოქე — «სლავია»

გუშინწინ გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მორიგი მეოთხედფინალური მატჩები.

პრაღა. ადგილობრივმა „სლავიამ" წარმატებით ჩაატარა განმეორებითი შეხვედრა ბელგიის ჩემპიონთან — „რესინგთან" და გაიმარჯვა ანგარიშით 80:68 (38:30). „სლავია" გავიდა ნახევარფინალში, სადაც შეხვდება სსრ კავშირის ჩემპიონს — ცსკა-ს.

ბელგრადი. აქ ერთმანეთს ეთამაშნენ ადგილობრივი „ცრვენა ზვეზდა" და ვარეზეს „ინისი" (იტალია). ისევე, როგორც პირველ მატჩში, გამარჯვება ამჯერადაც იტალიელებმა მოიპოვეს — 75:74 (35:37). „ინისიც" ნახევარფინალში გავიდა.

ლიონი. ცსკა-ს კალათბურთელებმა საპასუხო მატჩში დაამარცხეს ადგილობრივი „ვილერბანი" — 99:89 (60:41). მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო მოსკოველი ანდრეევი — 29 ქულა. ლიონის სპორტის სასახლეში ამ შეხვედრის სანახავად კალათბურთის 6 ათასი მოყვარული მოვიდა.

სოფია. საპასუხო შეხვედრა სოფიის „აკადემიკსა" და მადრიდის „რეალს" შორის დამთავრდა ბულგარელთა გამარჯვებით — 101:86 (37:47). ამ მატჩში გამოირჩეოდა „აკადემიკის" თავდამსხმელი გოლომეევი, რომელმაც თავის გუნდს 40 ქულა მოუტანა.

პრაღა. გაიმართა ქალთა ტურნირის მორიგი კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „სპარტამ" მიიღო სოფიის „აკადემიკი". გამარჯვება მასპინძლებმა იზეიმეს — 58:44 (30:25).

ნოვი სადი. სსრ კავშირის ჩემპიონებმა — რიგის ტტტ-ს კალათბურთელმა ქალებმა იუგოსლავიის ამ ქალაქში დაამარცხეს „ვოივოდინა" — 95:74 (43:34). შეხვედრა, რომელსაც 3500 მაყურებელი ესწრებოდა, თავიდან ბოლომდე სტუმრების უპირატესობით წარიმართა. რიგელებიდან ყველაზე შედეგიანი იყო უ. სემიონოვა — 37 ქულა.

როგორც ცნობილია, 19 თებერვალს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი ჰოკეიში. ეს საპატიო პრიზი პირველად დაისაკუთრა ქვეყნის ჩემპიონმა—მოსკოვის „სპარტაკმა", რომელმაც მწვავე ბრძოლაში სძლია თანაქალაქელ დინამოელებს — 2:1.

ს უ რ ა თ ზ ე: „სპარტაკის" კაპიტანი ვ. სტარშინოვი თასით ხელში.

ფოტო ვ. სობოლევისა და ა. იაკოვლევისა (საკდესი).

ყველაზე ჩრდილო „ლომვეშაპები"

არიან ნორილსკელები, რომლებიც ყინულპრილებში ორმოცგრადუსიან ყინვაშიც კი ბანაობენ. მართალია, მათი რიცხვი 50-ს არ აღემატება, მაგრამ ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ცივ წყალში ბანაობა უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს.

უკვე 10 წელია მისდევს ზამთრის ცურვას ისტორიის მასწავლებელი ა. მოისეევი. ცოტა ნაკლები სტაჟი აქვს 50 წლის ინჟინერ-ენერგეტიკოსს ი. შემერუევსკის. ინჟინერი ვ. ციხოცკი, რომელიც ნორილსკში 31 წელია ცხოვრობს, ყინულის აბაზანებით 1965 წლიდანაა გატაცებული და ნანობს, რამდენი ზამთარი ფუჭად დაკარგა მანამდეო.

ნორილსკის „ლომვეშაპებზე" ჩრდილოეთით მხოლოდ ნამდვილი ლომვეშაპები ცხოვრობენ. ტაიმირის ნახევარკუნძულზე ისეთივე მკაცრი ჰავაა, როგორიც არქტიკის ზღვებში. ყინვა ხშირად ქარიშხალს ენაცვლება, ამინდი დღეში რამდენიმეჯერ იცვლება.

მაგრამ ზამთრის ცურვის მოყვარულებს ეს ხელს არ უშლის.

ტურისტები სალაშქროდ ემზადებიან

სმოლენსკი, 27 თებერვალი. სმოლენსკის ოლქში ჯერ კიდევ თოვლიანი ქარბუქი მძვინვარებს, მოუსვენარი ტურისტები კი უკვე სალაშქროდ ემზადებიან. ეს სახეობა ოლქში ყველაზე ახალგაზრდაა, მაგრამ მან უკვე დიდი პოპულარობა მოიხვეჭა: ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭომ სამ ათეულზე მეტი მარშრუტი შეიმუშავა.

სპორტის ოსტატები — სკოლებში

ბოლო 6 წლის მანძილზე ბრიანსკის ახალგაზრდობის სპორტულმა სკოლამ 500 თანრიგოსანი ტანმოვარჯიშე, 44 სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი მოამზადა. როგორ მიაღწიეს ასეთ წარმატებას?

„ჩვენ მჭიდრო კონტაქტი გვაქვს ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, — გვიამბობს ახალგაზრდობის სპორტული სკოლის დირექტორი ს. გეტმანსკი. — აი, მაგალითად, 28-ე სკოლა, სადაც ფიზკულტურის მასწავლებლად ვ. მარტინოვი მუშაობს. ამ სკოლამ მოგვცა სპორტის ოსტატები ვ. ბიტკოვი, ოსტატობის კანდიდატები ნ. და ვ. ევდოკიმოვები, ო. იაცკოვა, ვ. ტრიზნა, ვ. ქუჩკოვი.

მათ ჯერ სკოლაში აიდგეს ფეხი ფიზკულტურის გაკვეთილებზე, შემდეგ კი ჩვენთან სრულყოფდნენ ოსტატობას. ბიტკოვი და ვ. ევდოკიმოვი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები არიან. ნ. ევდოკიმოვი და ქუჩკოვი ჩვენს სპორტულ სკოლაში მუშაობენ მწვრთნელებად. კურსდამთავრებულები მშობლიურ სკოლასაც არ ივიწყებენ. ნ. ევდოკიმოვი ახლა ტანმოვარჯიშეთა ჯგუფს ამეცადინებს. მისი ერთგული თანაშემწეები არიან მერვეკლასელები იაცკოვა და ტრიზნა.

ამას წინათ 600 ბიჭი და გოგონა ეჯიბრებოდა ერთმანეთს ახალგაზრდობის სპორტული სკოლის პრიზზე. I ადგილი დაიკავეს ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა — 45-ე სკოლის მეორე და მესამეკლასელმა გოგონებმა, მეხუთე და მეექვსეკლასელმა ბიჭებმა. კარგად ემზადებიან ტანმოვარჯიშეებს ქალაქის მე-4, მე-10, მე-12 და სხვა სკოლებში.

ბრიანსკის ახალგაზრდობის სპორტული სკოლის მუშაკები ტანვარჯიშის განვითარებას ხელს უწყობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. გამორჩეულ სპორტსმენებს თავისთან იწვევენ საწვრთნელად. ასე იზრდება მასობრიობა, მაღლდება ოსტატობა, სკოლებში ჩნდებიან ახალი სპორტის ოსტატები.

დ. კუზნეცოვი.

ბრიანსკი.

აი, რა იცის აღელვებამ

ფოთი, 27 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატში IV და V ტურები შედგა.

IV ტური. იზვოზჩიკოვი — მიქაძე 0,5:0,5, ტალი — ჩეჩელიანი 0,5:0,5, ჩიქოვანი — ბუსლაევი 0:1, ლევინი — გურგენიძე 0:1, ბოკუჩავა — ჯინჯიხაშვილი 0:1, ჯანოევი — გედევანიშვილი გადაიდო, გიორგაძე — უბილავა არ შედგა. ისვენებდა ნეურონოვი.

V ტური. მიქაძე — ტალი 0:1, ბუსლაევი — გიორგაძე 0,5:0,5, გურგენიძე — ჩიქოვანი 1:0, ჯინჯიხაშვილი — ლევინი 1:0, გედევანიშვილი — ბოკუჩავა 0:1. გადაიდო პარტიები: უბილავა — იზვოზჩიკოვი, ნეურონოვი — ჯანოევი. ისვენებდა ჩეჩელიანი.

ყველა აღელვა ტალ — ჩეჩელიანის შეხვედრამ. პაიკის შეწირვით დიდოსტატმა მძლავრი იერიში წამოიწყო, რომლის განელებას ამაოდ შეეცადა თბილისის ჩემპიონი, მაგრამ ტალმა უეცრად უხეში შეცდომით ფიგურა დაკარგა. მისი ახალგაზრდა მეტოქე იმდენად აღელდა, რომ მხოლოდ ყაიმს მიაღწია.

14 სვლა გაკეთდა ლევინ — გურგენიძის შეხვედრაში. ლევინი შეცდა, უფიგუროდ დარჩა და მყისვე დანებდა. ჯინჯიხაშვილმა მწვავე ცაიტნოტში მოგებამდე მიიყვანა ბოკუჩავასთან თავიდან აქტიურად ნათამაშევი პარტია. სამაგიეროდ, ცაიტნოტში ჩიქოვანმა უსწოროდ შესწირა ლაზიერი ბუსლაევს.

მიქაძე ტალთან ძალიან პასიურად თამაშობდა და სულ მალე დაკარგა ინიციატივა. ეს საკმარისი იყო, რომ დიდოსტატს მძლავრად დაელაშქრა მიქაძის პოზიცია.

გურგენიძემ მოხდენილად წარმართა ჩიქოვანთან ბრძოლა. დაბოლოებაში მან დიდი სიძნელეები შეუქმნა მეტოქეს, რომელიც, სხვათა შორის, ჩემპიონატში ერთობ უხეიროდ თამაშობს. დიდი მატერიალური მსხვერპლის წინაშე მდგარმა ჩიქოვანმა წინააღმდეგობა შეწყვიტა.

ჯინჯიხაშვილმა საუცხოოდ გამოიყენა ლევინის მეფის ფრთის სისუსტეები. ამ გამარჯვებამ ჯინჯიხაშვილს, ისევე როგორც გურგენიძეს, პირველ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისთვის (5 ქულა 5-დან) დაწესებული პრიზი მოუტანა.

გიორგაძემ პერსპექტიული პოზიცია მიიღო ბუსლაევთან და ამიტომ შემოთავაზებული ყაიმი არ მიიღო. მაგრამ მერე, როცა კომბინაციამ მას სასურველი შედეგი ვერ მოუტანა, თავად დაიწყო საზავო მოლაპარაკება.

გადადებულ პარტიებში უბილავასა და ჯანოევს თითო ზედმეტი პაიკი და მოგების შანსები აქვთ.

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ ბ. გურგენიძე, რ. ჯინჯიხაშვილი — 5-5 ქულა, ა. ბუსლაევი — 4, ს. ჩეჩელიანი — 3 და მ. ტალი — 2,5 (1).

ი. ლოლუა,
ჩემპიონატის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 ფინალისტის საქმენი

ანგარიში არ გამოხატავს...

ბრიუსელი, 26 თებერვალი. აქ ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონის — ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების შეხვედრამ ბელგიის ეროვნულ გუნდთან. მატჩი ინგლისელთა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ მისი ანგარიში (3:1) არ გამოხატავს ძალთა ნამდვილ თანაფარდობას მინდორზე. ეს იყო თანასწორთა შეხვედრა. უფრო მეტიც, — შესვენებამდე საავდრო ღრუბლები უფრო ხშირად ჩემპიონთა კართან იყრიდა თავს: ბელგიელები გამუდმებით უტევდნენ მრისხანე მეტოქეს და ეს იერიშები დაფუძნებული იყო ათლეტური თავდამსხმელების ვან ჰიმსტისა და დევრინდტის სწრაფ გარღვევებზე. მათ საუცხოოდ უჭერდნენ მხარს საშუალო ხაზის მოთამაშეები დოქსი და მეტისმეტად მოძრავი ვან მური. ისიც უნდა ითქვას, რომ ინგლისელებს ეტყობოდათ ბ. ჩარლტონის არყოფნა.

მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, ბურთი აღმოჩნდა... მასპინძელთა კარში: მათს საჯარიმო მოედანზე არეულობით კარგად ისარგებლა ბოლმა.

შესვენების შემდეგ ინგლისელებმა გამოიყენეს თავიანთი უპირატესობა გადაცემათა, განსაკუთრებით, გრძელ გადაცემათა სიზუსტეში და სწორედ ამის წყალობით ორჯერ აიღეს მეტოქის კარი (ჰერსტი — მე-11 წ. და ბოლი — მე-15 წ.).

ინგლისელთა კარში ბურთი მე-15 წუთზე გაიტანა დოქსმა.

0:0

მეხიკო, 27 თებერვალი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები „აცტეკის" სტადიონზე შეხვდა თავის პირველ მეტოქეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში — მექსიკის ეროვნულ გუნდს. ამ მატჩში, რომელსაც 60 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, ბურთი არც ერთხელ არ გასულა კარში — 0:0.

პირველ ტაიმში სახიფათოდ უტევდნენ საბჭოთა ფეხბურთელები, მაგრამ მას შემდეგ, რაც მუნტიანი მსუბუქად დაშავდა და მთელი ძალით ვეღარ თამაშობდა, სსრ კავშირის ნაკრების ფორვარდების შეთანხმებული მოქმედება დაირღვა.

შესვენების შემდეგ უფრო მექსიკელები აქტიურობდნენ, მაგრამ საბჭოთა მცველებმა და კავაზაშვილმა, რომელიც ბრწყინვალედ თამაშობდა, შეძლეს თავიანთი კარის დაცვა.

სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: კავაზაშვილი, ლოგოფეტი, ხურცილავა, აფონინი, კაპლიჩნი, კისელიოვი, მუნტიანი, ასათიანი, პუზაჩი, გერშკოვიჩი, ხმელნიცკი.



ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მოულოდნელი მარცხი

ნანტი, 26 თებერვალი. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა აქ მოულოდნელი მარცხი იწვნია. ფრანგულ კლუბ „ნანტთან" ამხანაგურ მატჩში — 2:3.

ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელები პირენეის მთებში იწვრთნებიან, სადაც მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინ სიმაღლოვან აკლიმატიზაციას გადიან.

მექსიკელებს არ მოსწონთ

მეხიკოს რადიოს ცნობილმა მიმომხილველმა როდრიგესმა მკაცრად გააკრიტიკა საფრანგეთისა და საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციები, რომლებიც, მისი სიტყვით, „დანას უყრიან" მსოფლიო ჩემპიონატს.

საქმე ისაა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ეს ქვეყნები აპირებენ გამართონ იმ გუნდების „სანუგეშო ტურნირი", რომლებიც ფინალის მიღმა დარჩნენ. როდრიგესი ფიქრობს, რომ ეს სრული უტაქტობაა და ფრანგებსა და ბერძნებს მიზნად აქვთ დასახული როგორმე „დაჩრდილონ" მსოფლიო ჩემპიონატი.

ბოლო რეპეტიცია

აპრილის შუა რიცხვებში ბოგოტაში (კოლუმბია) იწყება დიდი საერთაშორისო ტურნირი ბრაზილიის, პერუს, ურუგვაისა და სხვა ნაკრები გუნდების მონაწილეობით. ეს მათი ბოლო რეპეტიცია იქნება მსოფლიო პირველობის ფინალის წინ.

ბ. ჩარლტონის აზრით

ბ. ჩარლტონმა ინგლისურ ჟურნალ „გოლს" მისცა ინტერვიუ, სადაც შეეხო მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის პრობლემებს.

— ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაპირებთ მსოფლიო ჩემპიონობის შენარჩუნებას, თუმცა ურთულესი პრობლემების წინაშე ვდგავართ. ბევრი რამ პირველივე მატჩზეცაა დამოკიდებული, როდესაც ბრაზილიელებს ვეთამაშებით.

ბ. ჩარლტონის აზრით, მეოთხედფინალში გასვლის უფლებას მოიპოვებენ სსრ კავშირისა და ბელგიის, იტალიისა და ურუგვაის, ინგლისისა და ბრაზილიის, პერუსა და გფრ-ის გუნდები.

ზ. ჰერბერგერი: „ბრაზილიელები დაიბრუნებენ მსოფლიო ჩემპიონობას!"

გფრ-ის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, გამოჩენილმა სპეციალისტმა ზ. ჰერბერგერმა ამას წინათ ილაპარაკა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდების შესაძლებლობებზე. მან განაცხადა, რომ ჩემპიონობის ყველაზე უფრო რეალურ პრეტენდენტებად მიაჩნია ბრაზილიელები. ისინი მექსიკაში შესანიშნავად გრძნობენ თავს და გულშემატკივრებიც სათანადოდ თანაუგრძნობენ.

— ევროპელებს, — თქვა ჰერბერგერმა, — მექსიკაში ძალიან გაუჭირდებათ, უპირველეს ყოვლისა, უჩვეულო ბუნებრივი პირობების გამო.





პირველი ქართველი ოსტატი

სოხუმის უბეში ამ დღეს გაგრძელდა საქართველოს პირადი ღია ჩემპიონატი „ფინის" კლასის აფრიანი ნავებით. შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა გარდა სსრ კავშირის ნაკრების წევრები — მოსკოველი და ლენინგრადელი აფროსნებიც მონაწილეობდნენ.

რბოლის დისტანცია ოლიმპიური — 12 საზღვაო მილის დიამეტრისა იყო ცვალებადი კურსით (3 — ქარის მიმართულებით, 3 — მის საწინააღმდეგოდ). პირადი პირველობის ჩათვლაში 10-დან 9 საუკეთესო რბოლის შედეგი შედიოდა.

პირველივე დღიდან დაძაბული ბრძოლა გაიმართა საქართველოს ორგზის ჩემპიონს ზ. ხუხუასა (სოხუმი) და მრავალ საერთაშორისო ბრძოლაში ნაწრთობ სპორტის ოსტატს ა. ბალაშოვს (ლენინგრადი) შორის. პირველი ხუთი რბოლის შემდეგ ხუხუას თავის მრისხანე მეტოქეზე მეტი ქულა დაუგროვდა.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ლიდერთა დავაში ჩაერივნენ თბილისელები გ. ლაზარაშვილი და გ. შაკიაშვილი. საბოლოოდ, გამარჯვება ხუხუას დარჩა. მან სსრ კავშირის ნაკრების ოთხ წევრს მოუგო. იგი პირველი ქართველია, ვინც სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა ამ სახეობაში. მანვე დაისაკუთრა რესპუბლიკის ჩემპიონობა.

II ადგილზე გავიდა გ. ლაზარაშვილი, III — ბალაშოვი. შაკიაშვილი და ნ. ნასარიძე (თბილისი) მომდევნო ადგილებით დაკმაყოფილდნენ. ქვეყნის პირველობის ვერცხლის პრიზიორი, მოსკოველი ე. პოტაპოვი მეექვსე იყო.

აპრილში აქვე გაიმართება რესპუბლიკური პირველობა. შემდეგ კი სევასტოპოლში — რსფსრ-ს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს აფროსნებიც გამოვლენ. მაისში მოეწყობა შავი ზღვის რეგატა.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ—შეჯიბრების სტარტზე; მარჯვნივ — ტრასაზე არიან ზ. ხუხუა (მარჯვნივ) და ა. ბალაშოვი.

ფოტო ავტორისა.

აფრებით რბოლა

სიდნეი, 26 თებერვალი. ავსტრალიის ეკიპაჟმა დ. ფორბსის მეთაურობით იახტა „კარაველათი" მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა კლასში „5,5". ავსტრალიელებმა გამარჯვება შვიდიდან უკვე ექვსი რბოლის შემდეგ გაინაღდეს.

ადელაიდა, 26 თებერვალი. ოლიმპიური ჩემპიონები — მესაჭე რ. პატისონი და მისი მატროსი ი. მაკდონალდ სმითი (ინგლისი) ფიქრობენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატებში ზედიზედ მესამე გამარჯვებას მოიპოვებენ „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში. შვიდიდან ხუთი რბოლის შემდეგ ისინი II ადგილზე არიან (თანამემამულე ჯ. ტრუეტის ეკიპაჟის შემდეგ). მიუხედავად ამისა, პატისონსა და სმითს საბოლოო ჯამში გამარჯვების დიდი შანსი რჩებათ: მათ 11,7 საჯარიმო ქულა აქვთ, ლიდერებს კი სულ 1,7 ქულით ნაკლები.

ჰობარტი, 26 თებერვალი. აფროსანთა შემდეგი მსოფლიო ჩემპიონატი „ურჩხულის" კლასში ჩატარდება 1971 წლის იანვარ-თებერვალში ამ ავსტრალიური ქალაქის — კუნძულ ტასმანიის დედაქალაქის მახლობლად.

სტოკჰოლმი, 26 თებერვალი. მარსტრანდში, შვეციის დასავლეთ სანაპიროზე, 5-14 აგვისტოს ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი „ვარსკვლავისებურ" კლასში. (საქდესი).

ახალი ამბები

● **ვუპერტალი (გფრ), 25 თებერვალი. მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა ევროპის ლიგის პირველობის მორიგი მატჩი მოუგეს გფრ-ის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს — 4:3. ამ გამარჯვებით სსრ კავშირის გუნდი გათამაშების ლიდერი გახდა (II ადგილზე არიან შვედები). გფრ-ის გუნდთან შეხვედრის დებიუტი სსრ კავშირის ჩემპიონის ა. ამელინის რევანშით აღინიშნა: მან სძლია მასპინძელთა ჩემპიონს ე. შელერს (21:10, 21:10), რომელთანაც ამ დღეებში დამარცხდა გფრ-ის ღია პირველობაში. მატჩის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა (პირველად დასახელებული არიან მასპინძლები): ვ. ლიკი — ს. გომოზკოვი 15:21, 22:20, 12:21, ა. შიმონი—ზ. რუდნოვა 18:21, 16:21, ვ. ლიკი, მ. ნესი — ა. ამელინი, ს. გომოზკოვი 21:15, 21:10, დ. შელერი, ე. შელერი—ზ. რუდნოვა, ს. გომოზკოვი 12:21, 18:21, ე. შელერი — ს. გომოზკოვი 21:16, 21:13, ვ. ლიკი — ა. ამელინი 18:21, 21:17, 21:16.**

● **ბუდაპეშტი,** *26 თებერვალი. ფაშისტური უღლისგან უნგრეთის გათავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ბოლო ტურში პ. კერესს ამ შეჯიბრებაში გამარჯვება მიულოცეს მას შემდეგ, რაც მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა უნგრელ ლ. ლენდიელთან. კერესმა 10 ქულა დააგროვა 15-დან. II ადგილზე გასვლის შანსი აქვს უნგრელ ლ. საბოს, რომელსაც 9 ქულა დაუგროვდა. მაგრამ ამდენივე ქულის მოპოვების შესაძლებლობას ინარჩუნებს ბ. ივკოვი (იუგოსლავია) ან ა. სუეტინი. მათ ახლა 8-8 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვთ ერთმანეთში. ასევე 8-8 ქულა დაუგროვდათ უნგრელებს ლ. პორტიშს, ლენდიელსა და ი. ჩომს. ნახევარი ქულით ნაკლები ერთბაშად ხუთ მოჭადრაკეს აქვს. ესენი არიან: ი. ავერბახი, რ. ხოლმოვი, რუმინელი ფ. გეორგიუ, ჩეხოსლოვაკიელი ვ. იანსა და უნგრელი ლ. ბარცაი.*

ჟაირზინიოს „კაზუსი"

ცნობილი ბრაზილიელი თავდამსხმელი ჟაირზინიო წაეჩხუბა თავისი კლუბის — „ბოტაფოგოს" ხელმძღვანელობას და მიატოვა გუნდი. იგი უარს ამბობს ახალი ხელშეკრულების დადებაზე, თუ სავრძნობლად არ მოუმატებენ ჯამაგირს. „ბოტაფოგოს" ხელმძღვანელობა უარზეა.

— ბრაზილიაში მოქმედი საფეხბურთო წესების შესაბამისად ჟაირზინიოს არ ექნება ნაკრებში გამოსვლის ნება, თუ რომელიმე პროფესიულ კლუბში არ ითამაშებს, — განაცხადა „ბოტაფოგოს" ტექნიკურმა დირექტორმა როდრიგესმა. — ჩვენ კი არ დავეთანხმებით მის პირობებს. ეს რომ ასე მოხდეს, მაშინ ჟაირზინიოს დიდი უპირატესობა უნდა მიენიჭოს სხვა მოთამაშეებთან შედარებით.

ჟაირზინიო ნაკრების ძირითადი მარჯვენა გარემარბია, ამიტომ მისი განხეთქილება „ბოტაფოგოსთან" ერთობ აშფოთებს ნაკრების მწვრთნელს ჟ. სალდანიას.

უხეირო სტარტი

პარიზი, 26 თებერვალი. მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩში სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები დამარცხდა გდრ-ის გუნდთან — 11:13.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

2 მარტს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ცენტრალურ ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35) შედგება ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებისთვის შექმნილი სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის საკითხების შემსწავლელი სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობასთან არსებული საერთაშორისო ურთიერთობის საკითხების პროპაგანდის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე ლ. მატარაძე („თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მშვიდობის სამართალია") და თადარიგის პოლკოვნიკი ა. ლევი („მსოფლიო ხალხები ატომური, გაზური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვისთვის ბრძოლაში").

დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 03166